სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 **მაისი, 2024 წ.**

ბრძანება № 01-08/375

ბსუ–ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ნიკა მელიქიშვილისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

ბსუ–ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 23 აპრილის MES 9 24 0000460224 სამსახურებრივი ბარათის თანახმად ბსუ–ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ნიკა მელიქიშვილს პროგრამაზე სწავლის 8 სასწავლო სემესტრის შემდეგ ბსუ–ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის №01-08/709 ბრძანებით 2023–2024 სასწავლო წლის ბოლომდე გაუხანგრძლივდა სწავლის ვადა ერთი სასწავლო წლით და მაინც ვერ შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაარეგისტრირა დავალიანებული კრედიტები და ვერ აითვისა). აღნიშნულიდან გამომდინარე მას უნდა შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', „ბსუ-ს **2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში** ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N01-02/181 ბრძანების, ,,ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და ზოგიერთი სტუდენტისათვის 2023-2024 სასწავლო წლის ბოლომდე სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე'' ბსუ–ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის №01-08/709 ბრძანების, ბსუ–ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 23 აპრილის MES 9 24 0000460224 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ–ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ნიკა მელიქიშვილს (პ/ნ _____) შეუწყდეს ბსუ–ს სტუდენტის სტატუსი.
2. ნიკა მელიქიშვილს (პ/ნ _____, განემარტოს, რომ უმოკლეს ვადაში დაფაროს სწავლის საფასურის დავალიანება - 825 ლარი (2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასური).
3. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს და სტუდენტს, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**